**შპს რუსთავის აკადემიური ქალაქის სამედიცინო კოლეჯის**
**პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კვლევის მეთოდოლოგია**

1. აღნიშნული დოკუმენტი განსაზღვრავს შპს რუსთავის აკადემიური ქალაქის სამედიცინო კოლეჯში დაინტერესებული პირების პროფესიულ განათლებაში მოზიდვის, ჩართვისა და პროფორიენტაციის წარმართვის პროცესს, აღწერს პროფესიული სტუდენტის დარგობრივი კომპეტენციის ამაღლების და კარიერული მხარდაჭერის მექანიზმებს, კურსდამთავრებულების დასაქმების შესახებ ინფორმაციის მოძიების გზებსა და მათი დასაქმების ხელშეწყობის მექანიზმებს.
2. წინამდებარე დოკუმენტის მიზნებია:
   ა) კოლეჯის ავტორიზებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მიზანმიმართული პროფორიენტაცია;
   ბ) პროფესიული სტუდენტების დარგობრივი კომპეტენციის ამაღლება;
   გ) პროფესიული სტუდენტების/კურსდამთავრებულების დასაქმების/სტაჟირების ხელშეწყობა;
   დ) კურსდამთავრებულებისგან უკუკავშირის მიღება დასაქმების შესახებ.
3. პროფორიენტაცია ეყრდნობა დაინტერესებული პირთა ძლიერი მხარეებისა და შესაძლებლობების განსაზღვრას მათი ინტერესების გათვალისწინებით.
4. პროფესიული ორიენტაცია შესაძლებელია განხორციელდეს, როგორც ინდივიდუალური გასაუბრების, ასევე ჯგუფური შეხვედრის ფორმატით:
   ა) ელექტრონული ფოსტით, სოციალური ქსელებით შემოსულ შეკითხვებზე პასუხების გაცემის გზით;
   ბ) სატელეფონო გასაუბრებით;
   გ) კოლეჯის ვიზიტორებთან შეხვედრით;
   დ) სამიზნე ჯგუფთან შეხვედრის მოწყობით და სხვა.
5. კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა კარიერულ მხარდაჭერას, რაც გულისხმობს პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა ჩართულობას დასაქმების ფორუმებსა და ღონისძიებებში.
6. შემხვედრი საჭიროებების შესაბამისად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ეტაპზე ან დასრულების შემდეგ, კარიერის დაგეგმვის ხელშეწყობის ფარგლებში იმართება ინდივიდუალური ან ერთობლივი შეხვედრები კარიერული განვითარებისა და პროფესიული მიზნების სწორი კონსულტირების მიზნით.
7. კონსულტაციების ფარგლებში პროფესიული სტუდენტები იღებენ რჩევებს სტაჟირების მოძიების სტრატეგიების, ეფექტური რეზიუმეს შედგენის, სამოტივაციო წერილის მომზადების საკითხებში, ასევე - ინტერვიუსთვის მომზადებისა და ანაზღაურებაზე მოლაპარაკების წარმართვის თაობაზე. საჭიროების შემთხვევაში კოლეჯის სთავაზობს დამატებით პროფესიული მომზადების სასერტიფიკატო კურსებს (არსებობის შემთხვევაში), მათი წარმატებით დასაქმების ალბათობის გაზრდის მიზნით.
8. დასაქმების ხელშეწყობის ფარგლებში პარტნიორი კომპანიების მოთხოვნით შეირჩევიან პროფესიული სტუდენტები.
9. დასაქმებასთან დაკავშირებული შეხვედრების/ფორუმების შესახებ პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა ინფორმირების მიზნით ინფორმაცია განთავსდება კოლეჯის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში. მნიშვნელოვანია წინასწარ იყოს განსაზღვრული კრიტერიუმები დასაქმების შესაძლებლობებთან და ვაკანსიებთან დაკავშირებით, რაც ერთი მხრივ ხელს შეუწყობს სამუშაოს მაძიებელთა დასაქმებას ან უკვე დასაქმებულთა უკეთესი პირობებით დასაქმებას.
10. კურსდამთავრებულების დასაქმებას კოლეჯი ხელს უწყობს კარიერული მხარდაჭერის მექანიზმებით. კურსდამთავრებულების მონაცემების მართვა გულისხმობს დასაქმების თაობაზე ინფორმაციის მოძიებასა და სტატისტიკის წარმოებას შესაბამისი პასუხისმგებელი პირის მიერ.
11. სტატისტიკური ინფორმაცია მოიცავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში კურსდამთავრებულების და მათ შორის, მიმართულების ფარგლებში დასაქმებულების რაოდენობრივ ან/და პროცენტულ მაჩვენებელს პროგრამების მიხედვით.
12. კურსდამთავრებულების დასაქმების შესახებ ინფორმაცია მოიძიება გამოკითხვის გზით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებიდან 6 თვის ვადაში კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალების გამოყენებით.
13. კოლეჯის პროფორიენტაციისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი პასუხისმგებელია დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა ბაზების (საკომუნიკაციო სისტემა) შევსება-განახლებასა და მართვაზე. მისი არყოფნის შემთხვევაში საკომუნიკაციო ბაზებზე წვდომის უფლება განისაზღვრება კოლეჯის დირექტორის მიერ.
14. კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი ერთწლიანი სამოქმედო გეგმის ფარგლებში ახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა, დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვას და კვლევის ანალიზს იყენებს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გაუმჯობესებისათვის.
15. პროფესიულ სტუდენტთა კითხვარი უნდა მოიცავდეს ინფორმაციას პროფესიულ სტუდენტთა უფლებების გაცნობისა და დაცვის, კარიერული მხარდაჭერის არსებობის/კმაყოფილების შესახებ, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსის, მიზნებისა და სასწავლო ლიტერატურის ხელმისაწვდომის შესახებ და სხვა.
16. მნიშვნელოვანია კურსდამთავრებულთა კვლევა მოიცავდეს და ფარავდეს ისეთ პარამეტრებს, როგორიცაა, დასაქმდა თუ არა კურსდამთავრებული, დასაქმდა თუ არა იმ სპეციალობით, რომელიც დაამთავრა, კმაყოფილია თუ არა დაწესებულებაში მიღებული უნარებით, იყენებს თუ არა მათ სამუშაო პროცესში, საჭიროებს თუ არა დამატებით ცოდნას, უნარ-ჩვევებსა და კომპეტენციებს დასაქმებისათვის და ა.შ.
17. დამსაქმებელთა კვლევის კითხვარის მთავარ მიზანს წარმოადგენს დასაქმდა თუ არა კურსდამთავრებული კომპანიაში, რა მექანიზმს მიმართა დამსაქმებელმა კადრების მოძიებისთვის, მიიღო თუ არა მონაწილეობა დამსაქმებელმა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასა და განვითარებაში, აქვს თუ არა კომუნიკაცია კოლეჯის პროფორიენტაციისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერთან, კურსდამთავრებულთა დასაქმებასთან დაკავშირებით და სხვა.
18. კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით ჩატარებული გამოკითხვის შედეგად მიღებული მონაცემები, მიღების/პროგრამის დასრულების მიხედვით მუშავდება და სტატისტიკური ფორმით წარედგინება კოლეჯის დირექტორს, რომელიც ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისთვის.